

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი პირობითად სამი ნაწილისგან შედგება:

- ა) ფორმალური ნაწილი
- ბ) ძირითადი / არსებითი ნაწილი
- გ) დამატება

თითოეული ნაწილი ქვეთავებისგან შედგება.

I. ფორმალური ნაწილი

- > **თავფურცელი** – სადისერტაციო ნაშრომის პირველი გვერდია, რომელზეც განთავსებულია თემის სათაური, ავტორისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელი და გვარი.
- > **განაცხადი ეთიკის თაობაზე** – ავტორის მიერ დეკლარირება იმისა, რომ ნაშრომი არ არის პლაგიატი ან არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს და დაცულია კვლევის ეთიკა – არ არის შელახული კვლევის სუბიექტების/რესპოდენტების უფლება: კონფიდენციალობა, კორექტულობა და მისთ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განაცხადის ტექსტი შეიძლება შემდეგი შინაარსის იყოს:

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი (დაიწერება სათაური) ორიგინალურია. ის არ შეიცავს სხვა ავტორთა აზრებს, იდეებს, დებულებებს, თეორიებს, კვლევის მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული მონაწილე სუბიექტების უფლებები.

ტექსტის შემდეგ, ორი ინტერვალის გამოტოვებით, გვერდის მარცხენა მხარეს იბეჭდება ავტორის სახელი, გვარი, მის გასწვრივ პირადი ხელმოწერა. განაცხადისთვის გამოიყოფა ცალკე ფურცელი.

- > **რეზიუმე** – ნაშრომის მოკლე შინაარსი, რომელიც 3 ძირითადი კომპონენტისგან შედგება:
 - ა) შესავალი (კონტექსტი, თემის აქტუალობა/მნიშვნელობა კვლევის მიზანი)
 - ბ) მეთოდოლოგია
 - გ) კვლევის შედეგები და მნიშვნელობა

რეზიუმეს ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ცალ-ცალკე, არანაკლებ 150 და არა უმეტეს 350 სიტყვით. ტექსტში არ უნდა იქნას გამოყენებული ციტატები, ცხრილები და მისთ.

რეზიუმე თავსდება ცალკე ფურცელზე.

- > **მადლიერება** (ნებაყოფლობითია) – ავტორს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს იმ პირების მიმართ, რომლებმაც გარკვეული დახმარება გაუწიეს ნაშრომის მომზადებაში – მეცნიერ-ხელმძღვანელი, კონსულტანტი, კვლევის პროცესის მონაწილენი, ადმინისტრაცია, ორგანიზაციები, რომლებმაც ინფორმაციული მხარდაჭერა აღმოუჩინეს და სხვა.
- > **მიძღვნა** (ნებაყოფლობითია)
- > **სარჩევი** – თანმიმდევრობით მიეთითება ნაშრომის ყველა თავი, ქვეთავები, ბიბლიოგრაფია, დანართები და სხვა.
- > **საილუსტრაციო მასალა** (ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები და სხვა) - თითოეული ილუსტრაცია ფორმატის მიხედვით უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი გვერდების შესაბამისად.
- > **აბრევიატურა** – ნაშრომში შეიძლება გამოყენებულ იქნას აბრევიატურა, რაც აუცილებლად უნდა გაიშიფროს.
- > **განმარტებები** – ამ ნაწილში შეიძლება მოცემულ იქნას განმარტებები ავტორის მიერ შემოთავაზებული სიტყვების/კომპოზიციების ან სიტყვების, რომელშიც დისერტანტი განსხვავებულ შინაარსს გულისხმობს.

ფორმალური ნაწილის გვერდები, გარდა თავფურცლისა, ინომრება რომაული ციფრებით.

II. პირითადი/არსებითი ნაწილი

1. **შესავალი** – დისერტაციის საპასუხისმგებლო ნაწილია, რომელიც ქმნის კვლევის თეორიულ ჩარჩოს. ამ ნაწილში უნდა გამოიკვეთოს საკვლევი პრობლემა/პრობლემათა კომპლექსი, დასაბუთებულ იქნას ამ პრობლემის/ პრობლემების კვლევის აუცილებლობა/მნიშვნელობა მეცნიერულ/ისტორიულ/სოციალურ/პოლიტიკურ/ეკონომიკურ (და მისთ.) კონტექსტში, შესაბამისად, უნდა განისაზღვროს კვლევის მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზა (მეცნიერული ვარაუდი, რომელიც საჭიროებს დამტკიცებას), ანუ, უნდა გამოიკვეთოს შემდეგი კომპონენტები:

- საკვლევი პრობლემა/კომპლექსური პრობლემა
- პრობლემის კვლევის აქტუალობა/მნიშვნელობა
- კვლევის მიზანი და ამოცანები
- ჰიპოთეზა

2. **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა** – ერთ-ერთი ძირითადი თავია, რომელიც გულისხმობს საკვლევ თემასთან დაკავშირებული სტატიების, მონოგრაფიების, დისერტაციების და სხვა გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი შრომების მიმოხილვას, მაგრამ არა კრიტიკულ ანალიზს, ამასთან, უნდა გამოიკვეთოს მათი ლოგიკური მიმართება საკვლევ თემასთან. აღნიშნული თავი შეიძლება შედგებოდეს ქვეთავებისგან/პარაგრაფებისგან.
3. **კვლევის ანგარიში/აღწერა** – ამ თავში დეტალურად უნდა აღიწეროს გამოსაყენებელი კვლევის სახეები. საჭიროა არა ზოგადად კვლევის მეთოდების დახასიათება, არამედ შერჩეული კვლევის მეთოდების განმარტება, რელევანტურობის დასაბუთება, პროცედურის დეტალიზაცია. უნდა აიხსნას რამდენად სანდოა გამოყენებული მეთოდები – რამდენად პასუხობენ ისინი დასმულ მიზნებს ჰიპოთეზას. ჩატარებული კვლევა, შეზღუდვების ჩათვლით, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი.
4. **კვლევის შედეგები** – უნდა ეყრდნობოდეს კვლევის აღწერითი ნაწილით წარმოდგენილ ანალიზს. შედეგები კრიტიკული განხილვის გარეშე უნდა იქნას გაანალიზებული და აღწერილი.
5. **განსჯა/მსჯელობა** – ეს ნაწილი, მიმოხილული ლიტერატურით წარმოდგენილი იდეებისა და კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის/განზოგადების კონტექსტში, ავტორისეული მსჯელობის გაშლას – ახალი მეცნიერული იდეების, თეორიების, კონცეფციების, პრაქტიკის წარმოჩენას და ლოგიკურ განვითარებას ემსახურება. მნიშვნელოვანია ავტორის კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვა საკუთარი კვლევის მიმართ – დადებითი და უარყოფითი მხარის გამოკვეთა, ანალოგიურ კვლევებთან მიმართების და უპირატესობის დასაბუთება.
6. **მიგნებები/მეცნიერული სიახლე** – ამ თავში ხდება კვლევის შედეგების განსჯის პროცესში გაკეთებული მიგნებების სტრუქტურირება. მიგნება შეიძლება განვმარტოთ როგორც დისერტანტის აღმოჩენა/აღმოჩენები, რომლის გამოყენება/გათვალისწინება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მეცნიერების/დრგის განვითარებაში. სწორედ ახალი აღმოჩენები განსაზღვრავს მეცნიერულ სიახლეს, რომელიც განაპირობებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას. მიგნებად/მეცნიერულ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს:
 - ახალი მეცნიერული მიმდინარეობის ჩამოყალიბება.
 - მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის ახალი მეთოდის/მეთოდების შემუშავება.
 - დასმული მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის ორიგინალური მოდელის, ალგორითმის, მექანიზმის, პროექტის (და მისთ.) შემუშავება.
 - ახალი შეხედულებების, წარმოდგენების ჩამოყალიბება გარე სამყაროს, საზოგადოების შესახებ.
 - არსებული ან ახალი იდეის პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმის შემუშავება.
 - ახალი სერვისის/მართვის სისტემის შემუშავება.

- სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური (და მისთ.) სივრცის კვლევისთვის განსხვავებული და/ან ახალი მეთოდების გამოყენება.
- პროცესების, მოვლენების კანონზომიერების დადგენა.
- ახალი ტერმინების, კატეგორიების შემოტანა.
- ახალი კრიტერიუმების ჩამოყალიბება.
- მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის არსებული მეთოდის/მეთოდების შემუშავება.
- არსებული სერვისის/მართვის სისტემის მოდერნიზება.
- არსებული იდეების/მიდგომების დაზუსტება, გადრმავეება, ახლებურად წარმოჩენა.
- არსებული ტერმინის/კრიტერიუმის ახლებური გაგება/ინტერპრეტაცია.

სიახლეები რანჟირებულია მეცნიერული მნიშვნელობის მიხედვით.

მეცნიერული სიახლის სტრუქტურებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი სიტყვები: გამოვლენილია, აღმოჩენილია, დასაბუთებულია, ნაჩვენებია, მოცემულია, წარმოდგენილია, გახსნილია, შემუშავებულია, შეთავაზებულია, კლასიფიცირებულია, სისტემატიზირებულია ან: შემოგვაქვს, ვასაბუთებთ, ვუჩვენებთ, და მისთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი უნდა დაიწყოს პირველ ან მესამე პირში (და არა შერეულად).

7. **დასკვნა** – ეს ნაწილი აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს მეცნიერულ სიახლეს და აფასებს მის თეორიულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას, აფასებს ჩატარებული კვლევის ორიგინალობის ხარისხს (ტარდება თუ არა ეს კვლევა პირველად ან განსხვავებული მეთოდოლოგიით), განსაზღვრავს დასმული მეცნიერული პრობლემის შემდგომი კვლევის პერსპექტივას.
8. **რეკომენდაციები** – განისაზღვრება მეცნიერული სიახლის იმპლემენტაციის არეალი, მისი ეფექტურობის შეფასება.
9. **ბიბლიოგრაფია** – გამოყენებული ლიტერატურის/წყაროების აღწერა ანბანური თანმიმდევრობით – ჯერ ქართულენოვანი გამოცემები, შემდეგ უცხოური.

III. ღამათება

დანართები – ნაშრომს შეიძლება ერთოდეს სხვადასხვა ილუსტრირებული მასალა ნაშრომის ტექსტში მითითებული ნუმერაციით.

IV. ფორმალური მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მიმართ

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ა) სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 200 გვერდზე ნაკლები, შრიფტი – **Sylfaen**, ტექსტის შრიფტის ზომა - 11, სათაურებისა და ქვე-სათაურების ზომა - 14-12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ.

ბ) სადისერტაციო ნაშრომის თავფურცელის შრიფტი - **Sylfaen**; ნაშრომის დასახელების შრიფტის ზომა - 16; ტექსტის შრიფტის ზომა - 11; სტუდენტის სახელი-გვარის შრიფტის ზომა - 11 **Bold**; მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელი, გვარი – 11 **Bold**; სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1.5; ნაშრომის სათაურის დაშორება ზედა ველიდან - 2 ინტერვალი, სათაურიდან ავტორის სახელ-გვარამდე - 5 ინტერვალი, ავტორის მონაცემებიდან ტექსტამდე - 5 ინტერვალი, ტექსტიდან მეცნიერ-ხელმძღვანელის მონაცემამდე - 5 ინტერვალი, მეცნიერ-ხელმძღვანელის მონაცემიდან უნივერსიტეტის დასახელებამდე - 14 ინტერვალი. გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ. იხ. ნიმუში:

ეროვნული ბანკი - ამოცანები,
ფუნქციები და ოპერაციები

დოქტორანტი სახელი, გვარი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლაში, 2012 წლის 15 ივნისს, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერ-ხელმძღვანელი: სახელი, გვარი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისი 2013

გ) აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით.

დ) ბიბლიოგრაფია წარმოდგენილ უნდა იქნას ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- წელი
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის ნომერი
- გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. კავკასია, 15 (21), 12-15.
შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. კავკასია, იანვარი, 12-15.

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- გამოცემის წელი
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორია. თბილისი: განათლება.

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნი ტ. ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები. ზოგადი განათლება. 1999 . . . (15.02.2005).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის ევროპის ფორუმი 3 (5). 1999 . . . (15.06.2003).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება: ცვლილებების შესახებ (639, 5.09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №115.

- ე) ტექსტში, გამოყენებული ლიტერატურა, უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).
- ვ) საბჭოს უნდა წარედგინოს სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.
- ზ) ნაშრომის დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 20 წუთით.
- თ) სკოლას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ეგზემპლარი და ნაშრომის ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით.

სიასლევების რანჟირება მეცნიერული მნიშვნელობის მიხედვით

- ახალი მეცნიერული მიმდინარეობის ჩამოყალიბება.
- მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის ახალი მეთოდის/მეთოდების შემუშავება.
- დასმული მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის ორიგინალური მოდელის, ალგორითმის, მექანიზმის, პროექტის (და მისთ.) შემუშავება.
- ახალი შეხედულებების, წარმოდგენების ჩამოყალიბება გარე სამყაროს, საზოგადოების შესახებ.
- არსებული ან ახალი იდეის პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმის შემუშავება.
- ახალი სერვისის/მართვის სისტემის შემუშავება.
- სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური (და მისთ.) სივრცის კვლევისთვის განსხვავებული და/ან ახალი მეთოდების გამოყენება.
- პროცესების, მოვლენების კანონზომიერების დადგენა.
- ახალი ტერმინების, კატეგორიების შემოტანა.
- ახალი კრიტერიუმების ჩამოყალიბება.
- მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისთვის არსებული მეთოდის/მეთოდების შემუშავება.
- არსებული სერვისის/მართვის სისტემის მოდერნიზება.
- არსებული იდეების/მიდგომების დაზუსტება, გაღრმავება, ახლებურად წარმოჩენა.
- არსებული ტერმინის/კრიტერიუმის ახლებური გაგება/ინტერპრეტაცია.